შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლა
დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 26 სექტემბრის №ბ25-37 ბრძანების
დანართი №2-ის შესაბამისად

მოსწავლეთა პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის

კონცეფცია

თბილისი
2025 წელი

შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლა
დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 26 სექტემბრის №გ25-37 ბრძანების
დანართი №2-ის შესაბამისად

ზრდასრული ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების დიდ ნაწილს პროფესიული საქმიანობა წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია პროფესია შეესაბამებოდეს ადამიანის ინტერესებსა და მის შესაძლებლობებს. პროფესიის არჩევისას სწორი გადაწყვეტილების მიღება ამ ყველაფრის წინაპირობაა.

დღესდღეობით საქართველოში დიდ პრობლემას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღება მომავალი პროფესიის თაობაზე. მოზარდების უმრავლესობას არ აქვს გათვიცნობიერებული საკუთარი შესაძლებლობები, ინტერესები და მათი რეალიზების გზები. მოსწავლეების ინტერესის სფერო ძალიან ფართოა, ხოლო ინფორმირებულობა - ვიწრო. ისინი ვერ აფასებენ პროფესიას ადეკვატურად და გადაწყვიტილებას იღებენ ისეთ ფაქტორებზე დაყრდნობით, როგორებიცაა: პრესტიჟულობა, სოციალური სასურველობა, ანაზღაურება, სტერეოტიპები, ფართოდ გავრცელებული შეხედულებები და ა.შ. ასევე დიდი გავლენა აქვს ოჯახს, რომელიც არ ითვალისწინებს ბავშვის ინტერესებს და მიიჩნევს, რომ მისი აზრი უფრო მნიშვნელოვანი და კომპეტენტურია. გავრეცელებულმა აზრმა, სტერეოტიპებმა, ოჯახმა რომ არ მოახდინოს ზეგავლენა მოზარდის პროფესიულ არჩევანზე, საჭიროა დავეხმაროთ მას აირჩიოს საკუთარი შესაძლებლობების ადეკვატური პროფესია და დარწმუნდეს საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში. ამის შესაძლებლობას კი სწორედ პროფესიული ორიენტაცია იძლევა. მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციათან დაკავშირებული აქტივობები ეხება, როგორც პროფესიულ კვალიფიკაციებს, ასევე უმაღლესი განათლების კვალიფიკაციებს.

პროფესიული ორიენტაცია საკუთარი თავისა და საგანმანათლებლო შესაძლებლობების, სპეციალობების, პროფესიების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ორგანიზება და სისტემაში მოყვანაა. პროფესიული ორიენტაციის მთავარი მიზნია დაეხმაროს მოზარდებს აირჩიონ მათთვის შესაბამისი პროფესია საკუთარი უნიკალური მახასიათებლების და გარემო ფაქტორების გათვალისწინებით.
ეროვნული სასწავლო გეგმა ერთგვარად ცდილობს ამ ხარვეზის გამოსწორებას და სკოლებს სადამრიგებლო პროგრამის, სადამრიგებლო საათის, ფარგლებში სთავაზობს მე-9 და მე-11 კლასებში პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილის (პროფესიის საათის) ჩატარებას.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია სკოლის კურსდამთავრებულებს ჰქონდეთ გააზრებული არჩევანი და ამ მიზნით სადამრიგებლო საათის ფარგლებში ჩაუტარდებათ პროფესიის საათი, როდესაც დამრიგებელი სხვადასხვა მეთოდით (პრეზენტაცია, კითხვა/პასუხი, მსჯელობა, შემთხვევის ანალიზი) გააცნობენ მათ პროფესიებს. პროფესიული ორიენტაციის შესახებ სადამრიგებლო საათი ტარდება მე-9, მე-10 და მე-11 კლასებში.

გარდა ამისა, სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა საბჭოს მიერ ჩამოყალიბებული პროფესიული ორიენტაციის კლუბი, რომელიც ხელმძღვანელობს საკუთარი დებულებით და ორგანიზებასა და კოორდინაციას უწევს სკოლაში მოსწავლეებში პროფესიული ორიენტაციისკენ მიმართულ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს, კერძოდ:

შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლა
დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 26 სექტემბრის №გ25-37 ბრძანების
დანართი №2-ის შესაბამისად

ა) ,,მშობლის დღის“ დაწესება (პროფესიაში წარმატებული მშობლის სტუმრობა სკოლაში ანდა მოსწავლეების სტუმრობა მის სამუშაო ადგილას, როცა მშობელი საუბრობს საკუთარ პროფესიაზე, არჩევანზე, გამოწვევებსა და პირად თუ საზოგადოებრივ სარგებელზე).
ბ) კურსდამთავრებულთა ვიზიტები სკოლაში (სკოლის კურსდამთავრებულები მოზარდებს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, აცნობენ საკუთარ პროფესიებს).
გ) უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა ვიზიტები პროფესიული და უმაღლესი განათლების სპეციალობების გასაცნობად (სკოლა მემორანდუმების ფარგლებში თანამშრომლობს შპს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან, შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში და საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივ კოლეჯთან).
დ) თავად პროფორიენტაციის კლუბისა ანდა მოსწავლეთა საბჭოს მიერ ინიცირებული ღონისძიებები, რომლებიც ორიენტირებულია ახალგაზრდებში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ცნობიერების გაღრმავებისაკენ.
ე) ყოველი სასწავლო წლის კარიერის დაგეგმვის კონსულტანტის მოწვევა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს პროფესიის არჩევაში და დაეხმარება, აღმოაჩინონ საკუთარ თავში ის უნარები, რომლებიც აუცილებელია ამა თუ იმ საქმიანობისთვის.

მნიშვნელოვანია, რომ პროფესიული ორიენტაციის კლუბი ვალდებულია სხვადასხვა პროფესიის ადამიანები მოსწავლეებთან შესახვედრად მოიწვიოს მინიმუმ სემესტრში ორჯერ.

სკოლისთვის მნიშვნელოვანია პროფორიენტაციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ხარისხის შეფასება. სკოლის ადმინისტრირებისა და მონიტორინგის პროცესების მენეჯერი ახორციელებს პროფორიენტაციის კლუბის მიერ მოსწავლეებისათვის ჩატარებული სხვადასხვა სახის ღონისძიებების ხარისხის შეფასებას სამდონიანი/სამეტაპიანი შეფასების მოდელის მიხედვით, კერძოდ:

1) მოსწავლეთა რეაქციის შეფასება ღონისძიების დასრულების შემდგომ წინასწარ შემუშავებული შეფასების ბარათის მიხედვით.

2) პროფორიენტაციის მიზნით სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებისა და ორგანიზაციების ერთგვარი ანგარიში ჩატარებულ ღონისძიებებში მოსწავლეთა ჩართულობისა და მიღებული ინფორმაციის გაცნობიერების შესახებ.

3) სკოლის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა პროფესიის არჩევაში სკოლაში პროფორიენტაციის მიმართულებით ჩატარებული ღონისძიებების გავლენაზე.